1877—1895

№ 240
კვირა, 5 ნოემბერი 1895

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 240
კვირა, 5 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1896 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ავალიშვილისა, მესხისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

I

**ურიელ აკოსტა**

ტრაგედია 5 მოქმედ. გუცკოვისა, თარგმანი ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**კრებული**

არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.

მოსამზადებელი კურსი

შედგენილი

რ. ჯაჯანაშვილის მიერ

გამოცემა მესამე,

შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.

ფასი ხუთი შაური.

10—2

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

**ქართველთა ამხანაგობის** გამგეობამ განიზრახა-რა ჰბეჭდოს პატარა ისტორიული წიგნაკები, უმორჩილესად სთხოვს საქართველოს ისტორიის მცოდნე პირთ დაეხმარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბად მარტივის ენით დაწერილი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდგან.

სასურველია ყოველი ეპიზოდი არ აღემატებოდეს ორ თაბახს, ე. ი. 64 გვერდს (ფორმატი $8^1/_2 \times 6$ კვადრ.).

მოწონებულსა და დაბეჭდილს ყოველს თაბახში (32 გვ.) ავტორთ მიეცემა 30 მან.

ამხანაგობა ეცდება ყოველ წიგნაკს დაურთოს გმირთა სურათები, თუ-კი მოიპოვება სადმე გადასაღებად.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი.

(5—2)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 4 ნოემბერი.

გუშინდელმა კორესპოდენციამ თელავიდგან ფრიად სასიამოვნო ამბავი გვაუწყა. ამ კორესპონდენციიდამ სჩანს, რომ იქაურ თავად-აზნაურობას მიუგნია და ხელი ჩაუჭიდნია იმისთანა საგნებისათვის, რომელიც დღეს პირველ საჭირ-ბოროტო საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ჩვენი ეგრედ წოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელ-ხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარედ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარედ დაუმოკიდებლობისა მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელ ცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოივლინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი მგელსავით პირ-ღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადურჩენია, რომ ჭამა სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს. ეს თუ შეუძლებელი არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული.

ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ გაწირულებამდე არ მისულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა თავს არ ვუშველეთ. ჩვენ მოედანი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა სხვას დავუთმეთ. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ის არის, რომ ჩვენ საშუალ-საუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისას და წყურვილისას და როცა ჩვენ გატაცებულნი ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა, ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებულ ვაჭრობით ხელთ იგდო. ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით-კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა: ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო. ჩვენც ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით და ჩვენი ნაშრომნაღვაწი კერძი ცხოვრებისა დღეს იმათ წინ უდგიათ და ჩვენ-კი შორიდამ ვუყურებთ და ცალიერს თითს ვილოკავთ. დღეს ბარაქალა და მართალი ბარაქალა ჩვენგან იმათ ეკუთვნის. იმიტომ-რომ ისინი მიუხვდნენ ახალთა ქართა ბერვას, დროთა ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადს და მოთხოვნილებას. თავისი ძალ-ღონე ჰკუისა, თუ ხელისა ამ ღაღადს, ამ მოთხოვნილებას შეუფერეს, შეუყენეს, გაღონიერდნენ ჯიბით, გაღონიერდნენ ყველაფრით, ხელთ იგდეს ამ საუკუნის ძლიერი ღონე—ფული და მაშასადამე ხელთ იგდეს დიდი სახსარი ყოველგვარის წარმატებისა. როცა ჩვენ ვისხედით და შუბლზედ ქუდშეკეცილები და მხრებზედ ყურთმაჯ გადაყრილები „მრავალ ჟამიერს“ ვიძახდით, ისინი თავ-მოკატუნებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე და სიცილად არა გვყოფნიდნენ და, ვინ იცის, იქნება გულშიც ამბობდნენ: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო. აი ბოლოს სიცილსაც შევესწარით: ბურთი და მოედანი ეკონომიურ ცხოვრებისა გამოგვეცალა ხელიდამ და დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-ბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლითა.

ჩვენ-კი, ვისის ქონებით, ვისის ნაჯაფევით, ვისის ნაღვაწით სხვანი კთდებოდნენ, გავირიყენით, ცარიელზედ დავრჩით და დღეს შორს არა ვართ იქამდე, რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქმნეთ და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ, თუ თავს არა ვუშველეთ-რა, ვიდრე კიდევ შესაძლოა ბედს თავი ჩვენსკენ მოვუდრიკოთ. თელავის თავად-აზნაურობა, მისდა სასახელოდ, მიმხვდარა ამ გაჭირვებას და შესდგომია საშველის ძებნას. რამოდენად სამკურნალოა და უებარი ამ ჭირისა იგი წამალი, რომელიც მას მოუპოვია,—ეგ სხვა საქმეა, ამაზედ ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც. ხოლო სანუგეშო ის არის, რომ ჩვენის დღევანდელის ტკივილისათვის მიუგნია წედ მიწევნილად და ეგ ტკივილი მთელის თავის სიგძე-სიგანით თვალ-წინ დაუყენებია ასე თუ ისე მოსარჩენად და საწამლებლად. საცა მიზეზი ჭირისა ზედმიწევნილად მიგნებულია, იქ მკურნალობა ერთი-ორად გაადვილებულია.

## ახალი ამბავი

*** მრავალ ადგილებიდგან დაეკითხნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას — როდის დაიწყება საქონლის მატარებელთა მიმოსვლაო; რკინის გზის უფროსმა უპასუხა ყველას, რომ მიმოსვლა დაიწყება დეკემბრის შუა რიცხვებშიო.

*** ფინანსთა სამინისტროს განუზრახავსო, ამბობს „ტფ. ფურც.“, მოსპოს საკომლო გარდასახადი ამიერ-კავკასიაში და შემოიღოს გარდასახადი უძრავ მამულებზედ, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებობს.

*** გვირაბიდამ მოლითის სადგურამდე გაცხარებული მუშაობაა. სდგამენ დაგლეჯილს ტელეგრაფის ბოძებს და აბმენ მავთულს. ორის დღის შემდეგ გვირაბის დასავლეთ მხრიდგან წიფას სადგურამდე ტელეგრაფი გაყვანილი იქნება. ამავე ადგილას უკვე დაიწყეს გაფუჭებულის რკინის გზის კეთება. მუშაობს სამასამდე კაცი. გზები ისეა გაფუჭებული, რომ ფეხით სიარულიც-კი სახიფათოა. ხან მუხლებამდე წყალში უნდა იაროთ, ხან კლდეზედ უნდა ცოცდეთ, ხან ნაპრალის პირას უნდა გაიაროთ გულის კანკალით, ხან დიდროვან კლდიდამ გამოშვერილ ქვების ქვეშ უნდა გაიაროთ, საიდამაც ერთის მხრივ გადმოჰქუხს ჩანჩქარი და მეორე მხრივ მოსჩანს გულის გამხეთქი უფსკრული.

შორაპნის მაზრაში წყალს რამდენიმე სოფელი მიუნგრევ მოუნგრევია, დაურჩვია მრავალი საქონელი. ასევე დაუზარალებია სოფ. წიფაც. გვირაბის დასავლეთ მხრიდგან წიფას სადგურამდე იქნება ორ კვირაზედ გააკეთონ რკინის გზის ლიანდაგი, ასე რომ ამ სადგურამდე ხაშურიდამ დაიწყებს მატარებელი სიარულს.

*** კონსტანტინოპოლის გაზეთების სიტყვით, ქ. კორფუს ვიცე-კონსული ისაკ-იაფეტ-ეფენდი დაუნიშნავს ოსმალეთის მთავრობას ტფილისის ვიცე-კონსულად.

*** ფოთიდგან დეპეშით ატყობინებენ ადგილობრივს გაზეთებს, რომ მიუხედავად ყოველგვარის ღონისძიების მიღებისა, ქალაქის ქუჩებში დიდი წყალი დგას; მეტად დაზარალებულნი ტყის მრეწველ-ვაჭარნიარიან.

*** „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ, რომ ყარსის რკინის გზაზედ ალექსანდროპოლის ახლო უკვე დაიწყეს გვირაბის კეთება. მალე დაიწყება ალექსანდროპოლისა და ყარსის შუა გზის მუშაობაც. ამ ნაწილზედ სხვა-და-სხვა სამუშაო იჯარით გაიცემა. ვაჭრობა ტფილისში მოხდება ამ მოკლე ხანში.

*** გაზ. „ნორ-დარ“-ს ატყობინებენ, რომ მდინარე ფოცხოვი, რომელიც ახალციხეს ჩამოუდის, ადიდდა, დაანგრია რამდენიმე ხიდი, მათ შორის ერთი ახლად გაკეთებული მშვენიერი ხიდიც. საზოგადოდ, ადიდებულმა მდინარემ დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს. მოხუცებული კაცები ამბობენ, რომ ამისთანა წყალდიდობა ამის მეტად არა ყოფილა აქაო.

*** გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ რომ განჯის მაზრაში, ბორჩალოს სახელმწიფო აგარაკში სამთო სამადნეულო მოხელე პავლე მოსეშვილი ეძებს სპილენძის მადანს. იმ ადგილას საცა სპილენძი აღმოჩნდა მუშებისათვის ამოთხარეს მიწური ქოხები, თხრის დროს ოთხ-არშინზედ იპოვეს ბრინჯაოს სამაჯე და სპილენძის შუბი. ეს ნივთები სიძველისაგან მწვანე ჟანგით დაფარულან; აქვე მდინარე ჩოვდარის ახლო, როგორც სხვა-და-სხვა ნიშნებიდამ სჩანს, ოდესღაც სპილენძი უკეთებიათ.

*** ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. დ. ა. გურამიშვილი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად ნ. ა. ისარლიშვილი ნაცვლად მ. დ. კვალიაშვილისა, რომელმაც თავი დაანება ამ თანამდებობას.

*** ეს სამი დღეა, რაც ტფილისში მშვენიერი მზიანი დღეებია, მაგრამ ღამ-ღამეობით ძალიან სუსხია.

*** როგორც ამ დღეებშიც ვწერდით სურსათის მოსალოდნელს სიძვირეს, გამართლდა კიდეცა. ამ ჟამად ტფილისში არა თუ მარტო ის საქონელი გაძვირდა, რომელნიც რუსეთიდგან და საზღვარ გარეთიდგან მოაქვთ, არამედ ისეთს სანოვაგესაც-კი მოუმატეს ფასი, რომელსა რუსეთი და უცხოეთი თვ[illegible] არ უნახავს. მაგალითად [illegible] ისე გააძვირეს აქაურმა ვაჭ[illegible]

თითქოს ისიც შორიდგან მოსატანი იყოს და რკინის გზის წახდენის გამო შეუძლებელი იყოს მისი მოტანა ასე განიჯეთ რძის მტარებლებიც-კი ისე უწესოდ იქცევიან, რომ კრუშკა რძეს, რომელსაც აქამდე შაურად ჰყიდიდენ ეხლა რვა კაპეიკად აფასებენ.

ჩვენ გვიკვირს, რატომ ქალაქის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას.

** დილიჟანი: დაბა დილიჟანში, გენერალ ვარშამოვის სახლის ახლო გზის პირად, ამ დღეებში იპოვნეს ერთი ძონძებში გახვეული კაცის გვამი, რომელიც სრულიად დაწყლულებული იყო. პოლიციამ გამოიკვლია მისი ვინაობა, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო გარდა იმისა, რომ მიცვალებულს ჯიბეში უპოვნა სამსახურის მოწმობა, რომელშიაც სწერია: „მოანგარიშე (СЧЕТОВОДЪ) მოხელე ხარკოვ-ნიკოლოზის რკინის გზის ინჟენერ-პოლიტეხნიკურ სასწავლებლისა, ქ. რიგის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი მღვდლის შვილი იაკობ იაკობის ძე პროტოპოპოვი".

## სამწუხარო მდგომარეობა.

წარსულ კვირას დიდ ხანს ვერ დაივიწყებს ქართლი და მთელი დასავლეთის საქართველო. ამ კვირაში დიდს ნაწილს ჩვენის სამშობლოისას თავს დაატყდა მოულოდნელი უბედურება. ჯერ-ჯერობით დაახლოვებითაც არ ვიცით, როგორ დაუჯდება ქვეყანას ეს უბედურება. დღემდის მხოლოდ შემთხვევით ცნობები მოდის და ისიც მოკლე დეპეშით, მაგრამ რაც ვიცით, ისიც საკმარისია, რომ თვალ-წინ საზარელი სურათი დაგვეხატოს. უფრო დაწვრილებით ტფილისში მოდიოდა ამბები რკინის გზის გაფუჭებისა. ტფილისსა და ბათუმს შუა თითქმის ნახევარი გზა სრულიად აოხრებულია; მატარებლითა მიმოსვლა შეწყდა დიდის ხნით; გზის გაკეთებისათვის რამდენიმე მილიონი დაიხარჯოს; ამიერ-კავკასიის რკინის გზამ დიდი ზარალი ნახა... მაგრამ ეს გზა ძალიან შემოსავლიანია და ხაზინა მალე დაიბრუნებს ხარჯს, მალე შეივსებს ზარალს. სატირალი და სავალალო ის არის, ვინ შეუვსებს ზარალს გაუბედურებულს მშრომელ ქართველ ერს, ვინ უშველის დაზარალებულ მცხოვრებთ ამ მოულოდნელს ჭირში?!

ხანგრძლივის წვიმების გამო ადიდნენ ქართლში ლიახვი, მტკვარი და სხვა მრავალი პატარა მდინარე, დასავლეთ საქართველოში რიონი, ყვირილა, ჭოროხი და სხვა. ადიდებული წყალი ვეღარ დაეტია თვის კალაპოტში, ამოვარდა და მიდეწ-მოდეწა გარშემო ქალაქები, დაბები და მრავალი სოფელი. გაბოროტებულმა სტიქიონმა საშინელის მძლავრობით და შეუბრალებლად წალეკა ვეებერთელა მანძილზედ ყოველივე, რაც-კი წინ გადაეღობა. მტკვრისა და ლიახვის ნაპირები, რიონის, ყვირილას, ჩოროხის და ცხენის წყლის მიდამოები—ეს მდიდარი ადგილები, სადაც ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა—დღეს შეუბრალებელმა სტიქიონმა მტვრად აქცია! მრავალ წლობით მოშენებული —სახლ-კარი, საქონელი, ვენახბაღი, ჭირნახული—ყოველისფერი რამდენიმე დღის განმავლობაში დაიღუპა. დაიღუპა მშრომელი ხალხის დიდის ვაება-ჯაფით მოპოვებული სიმდიდრე!

უბედურისაგან გარეტიანებულ ხალხის ხმა-მაღლა ტირილი საზარელიაო და ვინც ყურს მოჰკრავს, გარბისო, დეპეშით იწერება „ტფ. ფურცლის" კორესპონდენტი; „миллiонные убытки", მოკლედ სჭრიან სიტყვას ოფიციალური დეპეშები! ეს-ღა გვაკლდა. ეს უბედურება აკლდა აღმართში მიმავალს ერს!..

ვინ არის პატრონი, ვინ არის მშველელი? როგორ, ან ვინ დაეხმარება ხალხსაო, კითხულობს დღეს ყველა!

რადგანაც იქ, სადაც წყალმა შემუსრა ყოველივე, ხალხის კეთილდღეობის საძირკველი საგრძნობლად შეირყა, საჭიროა რადიკალური საშუალებანი იქმნას მიღებული. ხელახლავ დასახლ-კარებისათვის მუქთათ ხეტყისა და სხვა მასალის მიწოდება, საქონლის მოშენებისთვის ფულით შემწეობა, რამდენიმე წლით გარდასახადიდან განთავისუფლება—ყოველი ეს საქმეს ისე გამოაკეთებდ, რომ მეურნე ზურგს ისე მალე გაიმაგრებდა წინანდებურად მაინც. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ადგილობრივი (კავკასიის) მმართველობა დაუყოვნებლივ ცნობაში მოიყვანს ზარალის რაოდენობას და შუამდგომლობას აღძრავს ცენტრალურ მთავრობას წინაშე, რომ საჭირო შეღავათი და შემწეობა აღმოეჩინოს დაზარალებულს ხალხს. საჭიროა ამასთანავე, რომ ადმინისტრაციის შუამდგომლობას თან დაერთვას თავად-აზნაურთა და ყველა სხვა დაწესებულებათა თხოვნაც. თუ ამგვარი შუამდგომლობა და თხოვნა წარდგენილ იქნება სადაც ჯერ არს, არ გვინდა ვიფიქროთ, რომ უყურადღებოთ დასტოვონ გასაჭირს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყანა!..

თუ ზემოხსენებულს რადიკალურს საშუალებას არ მიჰმართავს მთავრობა, იმას მაინც უნდა მოველოდეთ, რომ შესაძლებელი შეღავათი და რაიმე დახმარება აღმოეჩინება დაზარალებულთ.

ჩვენ—ეგრეღ წოდებულმა ინტელიგენციამ—რაღა ვქნათ? რით გამოვიჩინოთ ჩვენი გულშემატკივრობა? საუბედუროთ, ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, როგორიც არის მაგალითად ერობა, რომ შეგვეძლოს სისტემატური და თვალსაჩინო მოღვაწეობა გავსწიოთ ამგვარს შემთხვევაში. საქველ-მოქმედო საზოგადოება ვრცელის პროგრამით ახლა გამოგვადგებოდა, მაგრამ მისი დაარსებაც დაგვიგვიანდა *)...ანალოგიურს შემთხვევაში, რუსეთში, დიდის შიმშილობის დროს, ინტელიგენციამ და საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობით და დიდის ენერგიით გააჩაღეს დახმარების საქმე. აქა-იქ დამშეულს ადგილებში დააარსეს კომიტეტები და მხნეთ შეებრძოლენ გამანადგურებელს მტერს. მათი მოღვაწეობა იმიტომ იყო ნაყოფიერი სხვათა შორის, თამამად შეგვიძლია ვთქვათ უმთავრესადაც, რომ მათ ყოველ მხრიდან ეხმარებოდენ ფულით ვინც სურს ათით, ურომლითაც აბა როგორ უშველიდენ დამშეულს ან დაზარალებულს ხალხს!..

დღეს ჩვენც გვმართებს ამგვარის საქმის გაჩაღება, მაგრამ საუბედუროდ არის რამდენიმე „მაგრამ", რომელიც გვაძლევს ნებას სასოწარკვეთილებით ვთქვათ, რომ ჩვენი ამ მხრით მოღვაწეობა უმნიშვნელო და უნაყოფო იქნება. ჯერ ერთი, ჩვენს ინტელიგენციას, რუსეთის ინტელიგენციასთან შედარებით, ბევრი რამ აკლია, მეორე და უმთავრესიც შემდეგია: საიდგან ვიშოვოთ საჭირო თანხა? მართალია, ჩვენის ერის საშუალო ნაწილი არასოდეს არ იშურებს, გროშს რომ საჭირო საქმე არ დაბრკოლდეს, მაგრამ დღევანდელს შემთხვევაში გროში რას გვიშველის?! ხოლო ჩვენის ერის არისტოკრატია, მდიდარი ნაწილი, დღემდის ყოველივე საერო საქმიდგან შორს იჭერს თავს, დღემდის ერის წყლული მას წყლულად არ მიუჩნევია და მის უბედურებით გული არ დადაგვია!

ლალი.



## ჩინებული აზრი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა.

წარსული კვირის წყალ-დიდობამ და მეწყერმა მეტის-მეტი უბედურება დაატეხა თავზედ იმერეთს. განსაკუთრებით ისინი დაიღუპნენ და დაზარალდნენ, რომელნიც მდინარეთა პირებზედ სახლობდნენ და აქ ჰქონდათ ბინა, სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი. ჯერ დაწვრილებით არ ვიცით ვის ეჭირვება მოწყალების ხელის გაწვდა, მაგრამ რაც ადრე შეუდგება ჩვენი საზოგადოება დაზარალებულთათვის ხელის გასამართავად საშუალების ძებნას, ისა სჯობია. ასეთი საერთო უბედურების დროს ჩვენი საზოგადოება ყოველთვის იჩენდა ქრისტიანულს თანაგრძნობას, გულშემატკივრობით და სიბრალულით ეპყრობოდა გაჭირვებულთა შეწევნისათვის ამოღებულს ხმას. გამაჰმადიანებულ ქართველთა უბედურების და რუსეთის გუბერნიების დამშევის დროს ქართველებმა დიდი გულუხვობა გამოიჩინეს და არავის დაუზარებია თვისი წვლილის გაღება შორებელ მეზობელთა წელში გასამართავად. ყოველი კერძო და საზოგადო დაწესებულება თაობდა ამათ დახმარებას. დღესაც დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს ოთხშაბათს გამართოს წარმოდგენა ზემოხსენებულ დაზარალებულთა შესაწევნელად. ეს მშვენიერი კაცთმოყვარეობით გამოწვეული დასაწყისი, დარწმუნებული ვართ, სხვა დაწესებულებათა სამაგალითოდ და წასაბაძავად შეიქმნება. ამას გარდა, ჩვენი ტფილისის საზოგადოება, უეჭველია, განურჩევლად ტომისა, წოდებისა და სქესისა თანაგრძნობით მოეპყრობა ხსენებულ გამგეობის ინიციატივას და თეატრს ეწვევა უფრო იმიტომ, რომ უსახლ-კარო უბინაო, მშიერ-მწყურალს და გზა შარაზე უმოწყალოდ დაგდებულს ძმებს ქრისტიანული მოწყალების ხელი მიუწვოს. თუმცა ორი წარსული წარმოდგენის რიგიანობას იმის თავდებობაც შეუძლია, რომ სასარგებლო და საქველ-მოქმედო საქმეს, სასიამოვნო გრძნობაც მოჰყვეს.

## სად უფრო საჭიროა სკოლის გახსნა?

(ბ. აპ. წულაძის წერილის გამო, „ივერია" 222.)

ამ უკანასკნელ დროს ქართველ საზოგადოებაში იდგამს ფეხს ერთი ფრიად კეთილი ჩვეულება, რომელსაც, თუ განმტკიცდა, შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ეროვნულ საქმეს. მე მოგახსენებთ ქართველ საზოგადოების მიერ საზოგადო საქმისადმი თანაგრძნობაზედ, რომელიც გამოიხატება ხოლმე, სხვათა შორის, რაოდენიმე წვლილის გამოღებით, მართალია მცირედის, მაგრამ ქონებით ღარიბს ქართველს ხომ მეტიც არ მოითხოვება ჯერ-ჯერობით, და მერმე, წელში რომ გაიმართება, მცირედი უხვად გარდაიქცევა უეჭველად; ამის მაგალითებს ხომ ეხლაც ვხედავთ (თ. ჭავჭავაძის მიერ თუმცა უხერხულად შეწირული თითქმის ნახევარ მილიონი ფული, თავ. ერისთავის ოძისის მამული, მისივე სტიპენდიატები და სხ.). ისე ფონდი არ დაარსდება, რომ საზოგადოებამ არ მიიღოს მონაწილეობა. ეხლაც ხომ ღირს-სახსოვარის 22 ღვინობისთვის აღსანიშნავად იწყო შემოწირულებათა დენამ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან. უკეთუ შესდგა საკმაო თანხა, საზოგადოება ფიქრობს საყვარელის მგოსნის რაფიელის სახელობაზედ გამართოს სკოლა და იყოლიოს სტიპენდიატები.

ჩინებული ამბავია. ამის მნახველს ხომ სიხარულის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა. მართალია, თუმცა ჯერ შორს არის საჭირო თანხის შეგროვებამდე, მაგრამ უკვე დაასახელს, რაგვარი სტიპენდიატია სასურველი («ივერია» 227) და ან სად გაიხსნას სკოლა («ივ.» 222) აი ამ გარემოებაზედ მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

თუმცა არ არის დიდი ხანი—სულ რაღაც 15-20 წელიწადია, რაც ჩვენ საზოგადოებას სიფხიზლე დაეტყო, მაგრამ შედარებით ამ მოკლე ხანთან საკმაოდ ნაყოფიერი იყო ეს სიფხიზლე: დაარსდნენ ბანკები, სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, და მათ შორის უმთავრესი წერა-კითხვისა, რომელმაც დააარსა რამდენიმე სკოლა; დაარსდა თავად-აზნაურთა სკოლები ამერ-იმერში, კერძო პირთა სკოლები (წინამძღვრიშვილი, თ. ერისთავი და სხ.), თეატრები, სამკითხველოები, დეპო-ბანკები; გროვდება ფული საქალებო სკოლის დასაარსებლად და სხ. ყველა ეს სასიხარულოა დიაღაც, მაგრამ ერთი ნაკლულევანება სდევს თან, რომლის აცილება ძნელი არ უნდა იყოს, ჩემის ფიქრით.

თუ დავუკვირდებით საქმეს, ცხადად დავინახავთ, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილს ფაქტორებს ჩვენის წარმატებისას აურჩევიათ სამოქმედოდ ვიწრო წრე—ქართლ-კახეთ-იმერეთი და არა მთელი საქართველო. ეს გარემოება საყურადღებო არ იქნებოდა, ჩვენის ქვეყნის ყველა ნაწილი ერთს მდგომარეობაში რომ ყოფილიყო. უბედურებაც ის არის, რომ ზოგიერთი, მეტადრე განაპირა საქართველოს ქვეყნები, როგორც მაგალითებრ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებია და აჭარა, საშინელ მდგომარეობაში არიან. ამ ქვეყნებზედ მეტია ითქვას: ღმერთო უარესისაგან დაიფარე ეს მხარეო. "სწავლა-განათლებით ამ მხარეს უჭირავს უკანასკნელი ადგილი საქართველოშიც-კი, და ეხლა შენ წარმოიდგინე, მკითხველო, რა სიბნელით უნდა იყოს მოცული ეს ოდესმე განთქმული სამცხე! როგორც განაპირა ადგილი საქართველოისა და ისიც ოსმალეთის მხრივ, სამცხე ომის ველად იყო გადაქცეული არამც თუ ძველად, არამედ ჩვენს საუკუნეშიაც, და აბა რა კეთილი დაეყრებოდა. პოლიტიკურად დაშორებას დანარჩენ საქართველოზედ თან მოჰყვა სარწმუნოებრივი დაშორება: ეს მხარე მოიცვა ისლამმა, რომელმაც სრულიად ჩატეხა ხიდი ჩვენსა და მათ შორის.

მართალია, ერთი ნაწილი 1828 და მეორე 1877 წ. ისევ შემოუერთდა საქართველოს, მაგრამ ისლამს ისე ძლიერ გაედგა ფესვები მკვიდრთა ძვალ-რბილში, რომ ერთი თვალი დღესაც სათათრეთისკენ აქვთ მიქცეული. მაგრამ ამას ვინ სჩივის? საჭირო იყო დარწმუნებით, რომ იმათ სარწმუნოებას არავინ არ უპირებს შელახვას, მაშინ კიდევ შესაძლო იყო მოგვებრუნებინა მოძმეთა გული, მოგვეპოვა მათი სიყვარული; მაგრამ საქმეს სხვა გარემოებაც აძნელებს, სახელდობრ უცხო თემის ჩამოთესლება ამ მხარეში, რომელიც თან მოჰყვა სამცხის შემოერთებას. ამ თემმა არამც-თუ საუკეთესო ადგილები დაიკავა თანხმად მათის ანდაზისა—ქვეყანა დუმაა, კაცი კი დანა—არამედ, იგდო-რა ხელთ ვაჭრობა-მრეწველობაც, მალე გაბატონდა და შეიქნა პატრონად და გამგე-მბრძანებლად მთელის მხრისა; ქართველობა და თვით გუშინდელი ნამდვილი გამგებელ-მბრძანებელნი—ადგილობრივი თათრობა, დღეს დამონავებულ ხალხს წარმოადგენს და ბევრნი შიშითაც-კი სომხდებიან (ფრანგობა). დღეს ძველი ციხე-მონასტრები, თუ მოგვაგონებენ კიდევ, რომ აქ ოდესმე უცხოვრია მამულის მოყვარე და ქრისტეს მორწმუნე ქართველს, თორემ სხვა ნიშანი აღარაფერია!. თუ ასე განეგრძო, ადვილი მოსალოდნელია მალე აღარც სახელი იყოს ამ მხრისა და მოწმედ დარჩეს მხოლოდ ანდაზა.

საკვირველია, რომ ამისთანა უნუგეშო მდგომარეობას საქართველოს უშველებელის ნაწილისას, დღეს ჩვენი საზოგადოება სრულიად არ აქცევს ყურადღებას; მას საგნად აუღია, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქართლ-კახეთ-იმერეთი, თითქო მესხეთი საქართველოს ნაწილი არ იყოსო?.

ნუ-თუ ისეთი ვრცელია მიწით საქართველო და ისე მცირე ადგილია სამცხე (სამი მაზრა—ახალქალაქისა ახალციხისა და აჭარა), რომ არ ღირდეს მათთვის ზრუნვა?!

ქართლ-კახეთ-იმერეთი, შედარებით, ისე მჭიდროდ არის ქართველ ტომისაგან დასახლებული, იმდენად შეგნებული და გამოფხიზლებულია ეხლა, რომ არა მგონია ნება მისცეს უცხო ტომს იმაზედ მეტად მოიკიდოს ფეხი, რაც დღემდე მოასწრო.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს სამცხე: გამაჰმადიანებული ქართველობა, მრავალ ქართველ-კათოლიკეთა (ფრანგთ) გასომხება, თვით მხნე,

ოა-განათლებით აღჭურვილი და გაბატონებას მოწადინებული სომხობა, ხალხის უმეცრება და კიდევ „სხვა-და-სხვა დამოუკიდებელი" მიზეზი ძლიერ გვიძნელებენ საქმეს და, ამიტომ მოითხოვენ უეჭველად განსაკუთრებულ ყურადღებას და მხნე მოქმედებას ჩვენის საზოგადოების არივ.

საჭირო არის, რომ ეს უშველებელი მხარე—ძველი სამცხე და მისი განსაკუთრებული მდგომარეობა გვახსოვდეს ხოლმე, როდესაც შემთხვევა გვეძლევა სკოლების ან თუ სტიპენდიანტების დაარსების.

„სამშობლო ხევსურის" ავტორმა თვითვე აიგო ხელთ-უქმნელი ძეგლი: ყოველის მამულიშვილის გული მისდამი სიყვარულით და მადლობით ავსება; წერა-კითხვის საზოგადოება „ანთებს ერთს განათლების ლამპარს" მისს სამშობლო სოფელში; დეე მეორე ლამპარი იმავე საყვარელის მგოსნის სახელობაზედ ავანთოთ. ვინ არ იცის, რომ არც ქართლ-კახეთ-იმერეთშია მოჭარბებული სასწავლებელთა რიცხვი და ათი იმდენიც რომ იყოს, მაინც არ იქნება მეტი? ვინ იქნება ჩვენში ისეთი გონება-დახშული, რომ სთქვას, ხევსურეთს არ უნდა სკოლაო? რომელი მამულიშვილი არ ნატრობს ჩვენის ქვეყნისათვის იმ დროს, როდესაც ყოველ კუთხეს, ყოველ სოფელს ექნება საკუთარი სკოლა? არა, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ დღეს, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, სამცხე უფრო საჭიროებს საზოგადოების ყურადღებას.

რად ვკარგავთ ამ უშველებელ მხარეს, რომელიც მხოლოდ თავისის სივრცით (და არა ბუნების სიმდიდრით) უდრის გერმანიის 9—10 სამთავროს ერთად? დროა, დრო, მიექცეს ყურადღება მრავალ-ტანჯულს სამცხეს, თორემ ვაი თუ ათი-თხუთმეტის წლის შემდეგ დაგვიანებულიცკი იყოს!

სამცხელი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ასოციაციათა შესახებ შემდგარმა კომისიამ შეიმუშავა ტექსტი კანონ-პროექტისა. კანონ-პროექტი საჭიროდა სცნობს ასოციაციათა შედგენის თავისუფლებას. მხოლოდ იმ ასოციაციათ შეუძლიათ უძრავი ქონების მოპოვება, რომელნიც საზოგადო სასარგებლოდ ცნობილნი იქნებიან. რაიცა შეეხება კანონისაგან შეუწყნარებელ ასოციაციათ, იგინი პრეფექტის მხედველობის ქვეშ იქმნებიან დაყენებულნი და უნდა მათ განუცხადონ ხოლმე თავიანთი წესდება და წევრთა რიცხვი: მათ არ შეუძლიათ უძრავი ქონების მოპოება და შეწირულებათა მიღება. ამ კანონის დარღვევისათვის დამნაშავეთ მოელის ჯარიმის გადახდა, დაპატ[illegible] ასოციაციის მო[illegible] კანონი საიდუმლო და საერთაშორისო საზოგადოების შესახებ მოსპობილ იქმნება.

კრისტოფლი, credit foucier-ის დირექტორი სამსახურს თავს ანებებს რადგან ბურჟუამ შეიტანა პალატაში კანონ-პროექტი, რომელიც უკრძალავს ორთავე პალატის წევრებს კომერციულ საზოგადოების ადმინისტრაციაში მონაწილეობის მიღებას; ფინანსთა მინისტრს დუმეს იგი სწერს, რომ „საზოგადო აზრთა მიმართულებას ვემორჩილები და ამიტომ ვანებებ თავს სამსახურსაო."

**ინგლისი.** ინგლისში ხმა გავრცელდა ვიქტორია-დედოფლის ავადმყოფობის შესახებ. თუმცა ოფიციალურად ეს ამბავი უარყოფილია, საზოგადოებაში მაინც უწინდებურად ლაპარაკობენ. „კელნიში ცეიტუნგს ატყობინებენ, რომ ვისაც უნახავს დედოფალი ბალმორალში ყველა დარწმუნდა რა რიგად დასუსტებულა იგი. ვიქტორიას მეტის-მეტად ექნელება მოძრაობა; მას უდროო დროს ეკიდება ძილი ასე, რომ ხშირად დაეძინება ხოლმე როგორც სადილობის, დროს ისე კონცერტების დროსაც.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან.)

«ნოვოე ვრემია»-ში სწერენ, რომ ბერლინში ამნაირი შინაარსის დეპეშა მიუღიათ კოსტანტინოპოლიდგან.

აქ ძალიან ეშინიათ სომეხთა ხელ-ახალის აჯანყებისა. უკანასკნელს ხანში სტამბოლში დარაჯთა და სასახლის მოხელეთა რიცხვმა იმატა, მაშინ როდესაც სხვა დროს იშვიათად შეხვდებით ხოლმე მათ. სატახტო ქალაქის გარნიზონს 10,000 კაცი მიუმატეს, ახალი ოსმალეთის პარტიის წევრებთა დატუსაღება დღემდე ხდება. წარსულ პარასკევს აჯანყების მოლოდინით შეშინებულმა სულთანმა უბრძანა გამოაცხადონ გაზეთებში, რომ იგი თავის ხალხს ახალს კონსტიტუციას უბოძებს, მაგრამ ამ განცხადების დაბეჭდვაც-კი ვერ მოასწრეს. რომ სულთანმა მსწრაფლად გამოსცვალა თავისი აზრი. სამშაბათს, სარევოლიუციო პროკლამაციები თვით ბრწყინვალე პორტის კედლებზედაც-კი გააკრეს. ამბობენ ფადი-შაჰს მოუვიდა მუქარის წერილები, რომელშიაც უცხადებენ, რომ თუ ათი დღის განმავლობაში ტახტი არ უარ-ჰყო, სიკვდილი არ ასცილდება.

კოსტანტინოპოლიდგან მიღებულ კორესპონდენციებში სხვათა შორის სწერია:

საზოგადო უკმაყოფილება მეტად აშკარაა. მართალია ამას დიდი მნიშვნელობა არ ექმნებოდა, რომ მარტო მდაბიო ხალხი იყოს უკმაყოფილო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უმაღლესი წოდებაც ამნაირსავე განწყობილებაშია. სარევოლიუციო კომიტეტმა გაუგზავნა მუქარის წერილი ფადი-შაჰს. ობერ გოფმარშალმა ოსმან-ფაშამ წერილი პირ-და-პირ მეფეს გადასცა. ამ მიზეზით კიდევაც გავრცელდა ხმა ქალაქში, რომ ოსმან-ფაშას გადასახლებას უპირებენო, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. ალბანის პოლკის როტა სარევოლიუციო მოძრაობას მიემხრო. სამხედრო სკოლის მოსწავლეებმა, რომელნიც ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ რევოლიუციას, ეხლაც თავი იჩინეს. ამბობენ რომ იუნკრებმა შეთქმულობა მოახდინესო. ყოველსავე ამას, რასაკვირველია, იმასაც უმატებენ თუ რა სასჯელი მიაყენეს სხვა-და-სხვა ჯგუფთ. სამხედრო ძალა მეტის-მეტს სისასტიკესა და უსამართლობას იჩენს ეგრეთ წოდებულ „შენიშნულთა" შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანში ისეთი აზრი გავრცელდა, ვითომ სომეხთა და ოსმალთა სარევოლიუციო კომიტეტებს შუა თანხმობა ჩამოვარდნილიყოს რადგანაც მათ ორთავეს სწადიან ეხლანდელი წეს-რიგის მოსპობა.

ჭეშმარიტად უცნაური რამ ხდება ამ მეცხრამეტე საუკუნეში! წარმოიდგინეთ ოსმალეთშიაც რევოლიუცია არის და ორ-სამ წელიწადში შესაძლებელია იქაც ევროპიული მმართებლობა დამყარდეს.

„პოპოლო რომანო"-ში მოთავსებულია წერილი ინგლისის განცალკევებულ მდგომარეობის შესახებ აღმოსავლეთის საქმეში. ამ განცალკევებულმა მდგომარეობამაო, ამბობს გაზეთი, არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში ინგლისის მტრები და არ უნდა აფიქრებიოს ვითომ იგი სუსტი იყოს. გაზეთი მოაგონებს მკითხველთ ნაპოლეონის ისტორიას, საიდგანაც სჩანს, რომ ინგლისი მარტოხელაც ძლევა-მოსილია. მერე კიდევ ამ ქვეყანას წინდაწინ როდი უყვარს მოკავშირეების მოპოება, გაჭირვების დროს ყოველთვის მოსძებნის ხალხს, რომელსაც სწამს მისი ძალა და ენერგია, და რომელსაც შეუძლია მხარი მისცეს აურაცხელ მტერთან ომის დროს. ამ წერილიდგან სჩანს, რომ ერთი ამ ხალხთაგანი იტალიელნიც იქმნებიან და თუ მართლა მოხდა შეტაკება ინგლისსა და სხვა სახელმწიფოთა შორის, იტალია პირველს მიემხრობა. „ტრიბუნა" და სხვა იტალიანური გაზეთები იუწყებიან, რომ იტალია სამხედრო ძალას უმატებს; საზღვრებისა და კუნძულების გასამაგრებლად, ფლოტს აძლიერებს ახალ ჯავშნიან გემებს აკეთებს და ძველს აახლებს. იმავე გაზეთის სიტყვით სამხედრო მინისტრი ამზადებს პროექტს, რომლითაც სამხედრო ხარჯისათვის 60 მილიონზედ მეტსა თხოულობს.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ამ წლის წარსულს ზაფხულში ქ. გორის ხელოსანთა და გაჭართა ამქრების დახმარებით გაკეთდა საურმე გზა გორის გასწვრივ მტკვრის გაღმა ნაპირიდგან ჩემდამო-რწმუნებულის გორისჯვრის წმ. გიორგის ეკკლესიამდის. ასე რომ დღეს ფაიტონითაც კი შეიძლება იქ მისვლა. ამ გზის კეთებას იმდენი შრომა და ხარჯი დასჭირდა, რომ მისი აღსრულებაში მოყვანა მარტო ეკკლესიის საშუალებით შეუძლებელი იყო, თუ ამას არ მიშველებოდა ზემოხსენებულ ამქართ შეერთებული ძალა და მათი ქრისტიანული გრძნობა კეთილი საქმისათვის. ამისათვის ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა შევწირო ყველა იმათ, რომელთაც შრომა და მონაწილეობა მიიღეს ამ ღვთისა და კაცთა სასიამოვნო საქმეში.

სოფ. გორის-ჯვრის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი დავით კავკასიძე.

—

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ. გ. მ. თუმანიშვილს („ახალ მიმოხილვის" რედაქტორს). „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობას და ბ. ვ. ინ—ძეს, რომელთაც შემოსწირეს „სახალხო თეატრის" ბიბლიოთეკას წიგნები. პირველმა 1 მ. 65 კ. (5 წიგნი), მეორემ—9 მ. ორი შაურისა (21 წიგნი) და მესამემ—1 მ. ორი შაურისა (2 წიგნი).

ვისაც ჰსურს დახმარება აღმოუჩინოს წიგნებით იქნება თუ ფულით, თავისი შემოწირულება გამოგზავნოს „ივერიის" რედაქციაში, საშუალო სასტუმროში.

ი. ხაშელი.

1895 წ, 3 ნოემბერი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, სამს ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, ცარსკოე სელოში, მშვიდობით განთავისუფლდა ძეობიდგან და შეეძინა ასული, რომელსაც უწოდეს დიდი მთავრინა ოლგა.

ხელი მოაწერა საიმპერატორო სასახლის მინისტრმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა.

**ცარსკოე სელო.** მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, სამს ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, მშვიდობით განთავისუფლდა ძეობიდგან და შეეძინა ასული, რომელსაც წმ. ლოცვის წაკითხვით სახელად უწოდეს ოლგა. უავგუსტოესი მელოგინე და ახლად დაბადებული სრულიად ჯანმრთელად არიან.

ლეიბ-აკუშერი კრასოვსკი. პროფესორი ოტტ. ლეიბხირურგი გირში.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ნოემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველის. | გაყიდვე-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 205½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100⅛ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99½ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკან შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. ჯარაშეტიახცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—45).

ივანე იაკობის ძე
დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.

(5—1969—2).

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,
ბ. მ. მირიმანიანისა,

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—24)

მიწა სახლებითურთ 20 ნაკვეთი.

შენობები მოთავსებულია 25 და 50 ოთხ-კუთხს საჟენზედ. თექვსმეტი მათგანი იჯარით არის მიცემული. მეიჯარადრე მოთხოვნისათანავე თავს დაანებებს, ოთხი 25,120 და 800 საჟენზედ თავისუფალია. საზამთროს მოედნის ზევით. ფასი საჟენზედ 2, 3,4—7 მან. ფული შეუძლიან ნაწილ-ნაწილ გარდაიხადოს მსყიდველმა. ამავე მიწაში არის სამტვრევი ქვა და წყარო. ჰყიდის მეკვიდრე ივანე ივანოვი, ავჭალის ქუჩა, სახლი № 50.

(3—2).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| Ш вып. . . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . . | › | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Θ. Жорданія . . | | 30 |

---

**ისხმარეთ მხოლოდ**

საპონი „ვაზელინი“—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.

ჭიგიენის „ამხანაგობისა“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, კარშავა.

ისყიდება ყველგან.

(9—7—5).

---

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, დ გემეუშწოდაასადგურებზედ. 50—6—50

---




Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—23)

---

დამზღვევი საზოგადოება

## „იკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საავენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

---

## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკი[illegible]ობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქციის ადგილი: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.